CONSTITUENT ASSAMBLY OF GEORGIA AND LEAGUE OF NATIONS

საქართველოს დამფუძნებელი კრება და ერთა ლიგა

Beka Gachechiladze
Saint Andrew the First-Called
Georgian University of the Patriarchate of Georgia,
Doctoral Student in History. Tbilisi, Georgia.
ORCID ID: 0000-0002-3017-4015
(+995) 598 45 78 57; b.gachechiladze27@gmail.com

Abstract

After beginning of the first world war in 1914 which led to collapsing of the Russian empire in February of 1917 and establishing of temporary democratic government in Russia, in the Caucasus there was formed a local government (OZAKOM), which included Representatives from St. Petersburg, Georgian SOCIAL-DEMOCRATS, Armenian "DASHNAKTSUTYUN" and Azerbaijan "MUSAVAT", but despite all the efforts, government couldn't last long and broke up soon after. In 23 February of 1918 Caucasian parliament "TRANSCAUCASIAN SEIM" begins to work, this parliament should have solved all the problems that were created after collapsing of the Russian Empire and of the front line with the Ottoman Empire, who now started to invade to Caucasia for conquering it, But the SEIM could not solve this problem. In such situation 26 may of 1918 in Caucasus is born new a country Georgian Democratic Republic that is led by Georgian Social-Democratic party.

By the ending of Great War in 1918, the world's leading countries decided to create organization which would protect Europe and rest of the world from the same disaster that happed in First World War. With U.S. President Woodrow Wilson at the head of the supporting winner countries there was established new organization League of Nations, whose function was to protect and guarantee peace in the world.

New born Georgian Democratic Republic felt threatened from some of his neighbor countries and made his foreign politic goal to become a member of this organization, which would protect new born country from external threats, which mostly came from Russian Soviet Republic.

Despite all benefits that league could bring to Georgia, there was debate in the parliament about a membership, whether Georgia should be a member of this new formed organization, which would mean protection for Georgia, or whether that it was just the new style of empire made by world imperialists.

Key words: Georgian Democratic Republic, Foreign Politic, Constituent Assambly, League of Nations.

ბექა გაჩეჩილაძე
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი.
ისტორიის დოქტორანტი. თბილისი, საქართველო.
ORCID ID: 0000-0002-3017-4015
(+995) 598 45 78 57; b.gachechiladze27@gmail.com

აბსტრაქტი

პირველი მსოფლიო ომის დაწყების 1914 წ. და 1917 წლის რუსეთის რევოლუციის შემდეგ რუსეთში შეიქმნა დროებითი ხელისუფლება, ხოლო ამიერკავკასიაში ჩამოყალიბდა ადგილობრივი დროებითი ხელისუფლება „ოზაკომი“, რომელიც დაკომპლექტებული იყო პეტერბურგის წარმომადგენლით, სომხური პარტია „დაშნაკციუთიუნის, აზებაიჯანული „მუსავატების“ და ქართველი სოციალ-დემოკრატების მიერ. თუმცა დროებითმა ხელისუფლებამ რუსეთში დიდხანს ვერ გაძლო და ის 1917 წლის ოქტომბერ-ნოემბრის გადატრიალების შედეგად დაემხო. 1918 წლის 10 (23) თებერვალს ამიერკავკასიის პარლამენტმა „ამიერკავკასიის სეიმმა“ დაიწყო მუშაობა, მას უნდა გადაეწყვიტა ყველა პრობლემა, რაც რუსეთის იმპერიის დაშლისა და ოსმალეთის იმპერიასთან ფრონტის მოშლის შემდეგ წარმოიქმნა, როდესაც ოსმალებს მიეცათ შესაძლებლობა სამხედრო შემოჭრა დაეწყო ამიერკავკასიაში, თუმცა სეიმმა ვერ შეძლო ამ პრობლემის მოგვარება. ასეთ სიტუაციაში 1918 წლის 26 მაისს შეიქმნა ახალი სახელმწიფო, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ქართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერობით.

პირველი მსოფლიო ომის დასრულების 1918 წ. შემდეგ, გამარჯვებული სახელმწიფოების ლიდერებმა გადაწყვიტეს აღარასდროს დაეშვათ მსგავსი ომის გაჩაღება და გადაწყვდა შექმნილიყო ორგანიზაცია, რომელიც თავიდან ააცილებდა მსოფლიოს მსგავს ომს. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვუდრო ვილსონის მიერ წარმოდგენილი გეგმის მიხედვით შეიქმნა ორგანიზაცია „ერთა ლიგა“

ახალშექმნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავისი ზოგიერთი მეზობლისგან შესაძლო საფრთხის გამო, უმეტესად ახალშექმნილი ბოლშევიკური რუსეთისგან, გადაწყვეტს თავის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად აირჩიოს „ერთა ლიგაში“ გაწევრიანება.

მიუხედავად ყველა უპირატესობისა, რაც „ერთა ლიგაში“ გაწევრიანებას ჰქონდა, ძირითადად ეს იყო დაცულობის გარანტია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტში დებატები მიმდინარეობდა გაწევრიანებასთან დაკავშირებით, რადგან არსებობდა მოსაზრება, რომ ეს ახალი ორგანიზაცია დიდი იმპერიალისტი სახელმწიფოთა ახალი მეთოდი იყო რათა კვლავ განეგრძოთ ბატონობა მცირე ქვეყნებზე.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, საგარეო პოლიტიკა, დამფუძნებელი კრება, ერთა ლიგა.

შესავალი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავისი შექმნის დღიდან მსოფლიო აღიარების მოპოვებისთვის ძალისხმევას არ იშურებდა, ქართველი დიპლომატები თვეების მანძილზე ცდილობდნენ აუდიენციის მოპოვებას და შემდგომ საქართველოს ინტერესების დაცვას, ამ საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება „ერთა ლიგაში“ ქვეყნის გაწევრიანება იყო. ორგანიზაცია, რომელიც დიდ იმედებს აძლევდა ახალგაზრდა და მცირე სახელმწიფოებს მათი აღიარებისა და დაცვის გზაზე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება, განიხილავდა ლიგაში გაწევრიანების საკითხს, მართალია უმრავლესობა მომხრე იყო ამ ნაბიჯის, თუმცა ქართულ პოლიტიკურ ველზე არსებობდნენ პარტიები და პიროვნებები, რომლებიც ეჭვით უყურებდნენ ამ ახალ ორგანიზაციას, სურდათ მეტი ინფორმაცია მიეღოთ მათი მუშაობის და სამომავლო გეგმების შესახებ, ეს აზრთა სხვადასხვაობა განპირობებული იყო საქართველოს რესპუბლიკის დემოკრატიული საფუძვლებით, სადაც მნიშვნელოვანი და მისაღები იყო ნებისმიერი მოსაზრება, რომელიც შემდგომ კენჭისყრისას ხმათა უმრავლესობით მიიღებოდა.

მეთოდები

ახალი მასალების მოძიებით, არსებული წყაროების სინთეზით და ლოგიკური მსჯელობით ახალი აზრის ჩამოყალიბება, რომელიც განსხვავებული კუთხით დაგვანახებს მოცემულ საკითხს და შესაძლებლობას მისცემს მკითხველს გაუჩნდეს კიდევ უფრო მეტი კითხვა და გამოიწვიოს გაზრდილი ინტერესი და შემდგომი ანალიზი თემასთან მიმართებით.

შედეგები

ერთა ლიგის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის პოლემიკის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება, რაც ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად იქნა დასახული, რომელზე მუშაობა ორი წლის მანძილზე დაუღალავად მიმდინარეობდა. წარმატების შემთხვევაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მიიღებდა მნიშვნელოვან გარანტიებს სამომავლოდ ნებისმიერ პოტენციურ მტერთან კონფლიქტში და ასევე მსოფლიოსგან სახელმწიფოებრივ აღიარებას.

მსჯელობა

დიდი ომის შედეგი გარდა განადგურებისა იყო ახალი სიცოცხლის დასაწყისი პატარა ერებისთვის, რომლებმაც შეძლეს იმპერიის საზღვრებიდან გამოღწევდა და დაიწყეს საკუთარი გზის ძებნა. ევროპაში 1918 წლის ბოლოს დიდი იმპერიები დე-ფაქტოდ დაშლილი იყო და ყველა ახალი სახელმწიფო აღიარების უფლებისთვის იწყებდა ბრძოლას. ავსტრია-უნგრეთის, ოსმალეთის და რუსეთის იმპერიების ნგრევამ მეტად ჩაშალა პოლიტიკური ლანდშაპტი მსოფლიოში, რაც გამარჯვებული ქვეყნებისთვის ახალი პოლიტიკური მოწყობის აუცილებლობის დღის წესრიგს ადგენდა.

დიდი ომის შედეგი ყველა მხარისთვის განუზომლად დიდი იყო, რთული იყო იმის თქმა, რომელმა მხარემ გაიმარჯვა, რადგან ამ უკანასკნელთა შორისაც იყო საშინელი ნგრევა, განადურება, ადამიანური რესურსის უდიდესი დანაკარგი, რამაც უბიძგა მსოფიოს მოეძებნა ახალი გზა კონფლიქტების მოგვარებისთვის. ასეთ საშუალებად აღიქვა იმდროინდელმა მსოფლიომ სახელმწიფოთა გაერთიანების მოდელი, რომელშიც იქნებოდა გაერთიანებული ქვეყნები, რომლებიც მომავალ კონფლიქტებს მოლაპარაკების მაგიდაზე განიხილავდნენ და სისხლისღვრას თავიდან აიცილებდნენ. ასეთ გაერთიანებად იქცა „ერთა ლიგა", რომლის ყველაზე ეფექტური იარაღი უნდა ყოფილიყო მისი წესდება და განსაკუთრებით მეათე მუხლი, რომელიც უზრუნველყოფდა მისი წევრების უსაფრთხოებას, რაც იყო მთავარი გარანტორი სამომავლო მშვიდობისა.

ერთა ლიგის ეს სამხედრო შინაარსის წესდება დღესაც ცოცხალია მის არაპირდაპირ სამართალ მემკვიდრე სამხედრო გაერთიანებაში „ნატო"-ში, რომელიც ზუსტად ამ პრინციპით მუშაობს, მისი მეხუთე მუხლი იცავს წევრებს სამხედრო აგრესიისგან. „მხარეები თანხმდებიან, რომ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე ერთ ან ერთზე მეტ მხარეზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა აღიქმება ყველას წინააღმდეგ თავდასხმად. არსებულ შემთხვევაში,გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური თუ კოლექტიური თავდაცვის უფლების საფუძველზე, მხარეები დახმარებას გაუწევენ საფრთხის ქვეშ მყოფ მხარეს ან მხარეებს და განახორციელებენ ყველა საჭირო ქმედებას, მათ შორის სამხედრო ძალის გამოყენებას, ჩრდილო-ატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოების აღდგენისა და შენარჩუნების მიზნით." (https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_17120.htm?selectedLocale=ka, n.d.)

თუ დღევანდელი საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური მიზანი „ნატო"-ში გაწევრიანებაა, მისი მხარდაჭერისა და უსაფრთხოების დანიშნულებიდან გამომდინარე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ამოცანას „ერთა ლიგა"-ში გაწევრიანება წარმოადგენდა, რადგან იგივეს განასახიერებდა მაშინ ლიგა, რასაც ახლა „ნატო" წარმოადგენს თანამედროვე საქართველოსთვის.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების (1918 წ. 26 მაისი) შემდეგ, დღის წესრიგში დადგა ახალი რესპუბლიკის აღიარების საკითხი, რომელიც უმთავრესად იმ დიდი სახელმწიფოებს უნდა ეცნოთ,რომლებიც პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულები გამოვიდნენ და შემდგომ უკვე ერთა ლიგის ინიციატორები გახდნენ. აღიარების საკითხი რთულად თუმცა წარმატებით ხორციელდებოდა, რაც ქართველი დიპლომატებისა და პოლიტიკოსების მაღალკვალიფიციურობაზე მეტყველებდა.

1919 წლის 12 მარტს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოწვეულ იქნა დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა,რომლის წევრებიც საყოველთაო, თანასწორი და გამჭირვალე არჩევნების შედეგად იქნენ არჩეულნი,რაც ამ ორგანოსა და მისი გადაწყვეტილებების ლეგიტიმურობის

საფუძველი იყო. დამფუძნებელი კრება ორი წლის მანძილზე მუშაობდა და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს თუ კანონპროექტებს იღებდა, რომლებიც იდეურად და შინაარსობრივად მოწინავე ევროპულ სახელმწიფოებს უთანასწორდებოდა და ზოგ საკითხებში მათზე წინაც აღმოჩნდებოდა ხოლმე. გამომდინარე თემის საკითხიდან ყურადღებას გავამახვილებ დამფუძნებელ კრებაში განხილულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხზე, კერძოდ ერთა ლიგაში საქართველოს გაწევრიანების შესახებ დებატებს,რომელიც საინტერესო მაგალითს წარმოადგენს,იმდროინდელი პოლიტიკური თუ სტრატეგიული შეხედულებების შესახებ. ამას გარდა ეს საკითხი აქტუალურია დღევანდელობიდან გამომდინარე, რადგან დღევანდელი ჩვენი სახელმწიფოსთვის „ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია“ (ნატო) სწორედ იგივეს განასახიერებს,რაც ერთა ლიგა იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისთვის.

ისევე,როგორც დღეს ნატოსთან დაკავშირებით არსებობს კამათი,ასი წლის წინათ არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა ერთა ლიგის შესახებ,მისი ფუნქციებისა და შესაძლებლობების თაობაზე, დებატები დამფუძნებელ კრებაში მიმდინარეობდა.

ქართული სახელმწიფოს სურვილმა ყოფილიყო მსოფლიოს მასშტაბით აღიარებული და დაცული ქვეყანა, მიიყვანა ის ერთა ლიგის წევრობის იდეამდე,რისთვისაც მუშაობა ლიგის შექმნის დღიდანვე დაიწყო. საინტერესოა 1919 წლის 7 დეკემბერს „ერთა ლიგის საქართველოს ასოციაციის“ დაარსება, რომელსაც უნდა დაემყარებინა ურთიერთობა ევროპაში არსებულ მსგავს ასოციაციებთან და ხელი შეეწყო საქართველოს ლიგაში გაწევრიანებისთვის. ასოციაციის თავჯდომარედ არჩეულ იქნა დამფუძნებელი კრების თავჯდომარის მოადგილე ალექსანდრე ლომთათიძე, ვიცე-პრეზიდენტად ვახტანგ ღამბაშიძე, გამგეობის წევრებად კი გ. ლასხიშვილი, რ. არსენიძე, პ. საყვარელიძე, გ. გვაზავა და გრ. ვეშაპელი (საითიძე, 2010, გვ. 32).

ერთა ლიგის საქართველოს ასოციაციის მუშაობა საკმაოდ შედეგიანი გამოდგა,რადგან 1920 წლის 12-16ოქტომბერს მილანში მიმდინარე სხდომამ, საქართველოს ასოციაცია ერთხმად მიიღო ერთა ლიგის საერთაშორისო ასოციაციების რიგებში, რიგით მეოთხე კონგრესზე. ამ ფაქტმა უფრო გაამძაფრა მუშაობა საქართველოს ერთა ლიგაში მიღებისთვის.

ერთა ლიგის საქართველოს ასოციაციასთან პარალელი შეიძლება გავავლოთ დღეს არსებულ „ნატო-საქართველოს კომისია-სთან“, რომლის მიზანიც არის მოხდეს დაახლოება სამხედრო გაერთიანებასა და საქართველოს შორის სამომავლო წევრობის მიზნით. სწორედ ამავე მიზანს ემსახურებოდა „ერთა ლიგის საქართველოს ასოციაციაც“. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავის მიზნად პირველ რიგში სახელმწიფოს აღიარება და ამ აღიარების დაცვა განიზრახა, ხოლო ამ ორივე მთავარი დებულების შესრულება შესაძლებელი იყო მომხდარიყო ლიგაში გაწევრიანებით.

დღეს-დღეობით ისტორიულ ნაშრომებში,რომელიც ეხება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მოვლენები იმგვარად არის წარმოდ-

გენილი, რომ საქართველოს პოლიტიკური პარტიები თითქოს ერთხმად იზიარებდნენ ერთა ლიგაში გაწევრიანების საკითხს, თუმცა რეალურად ასე არ იყო. სოციალისტ-რევოლუციონერები, რომლებიც დამფუძნებელ კრებაში 5 დეპუტატით იყვნენ წარმოდგენილები და აქტიურად მონაწილეობდნენ ყველა განხილვაში, მათ შორის ერთა ლიგის საკითხზეც, ეწინააღმდეგებოდნენ წევრობას.

სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას ყველასგან განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა ერთა ლიგასთან დაკავშირებით,რომელიც 1920 წლის 9 ნოემბრის სხდომაზე ლეო შენგელიამ გააჟღერა, ეროვნულ-დემოკრატების წინადადების საპასუხოდ, ერთა ლიგაში წარმომადგენლობის გაგზავნის თაობაზე, ევ. გეგეჭკორის მოხსენებისას. „რას წარმოადგენს ის ოჯახი, სადაც ჩვენ ვაპირებთ შესვლას? ეს ფრიად სერიოზული კითხვაა და მისი ერთი ხელის მოსმით გადაჭრა, როგორც მას ბ. ჩხენკელი სჩადის, არ შეიძლება. პირველ ყოვლისა შემადგენლობა ამ ორგანიზაციისა ისეთია, რომ ჩვენთვის არ იქნება სასარგებლო მასში შევსულიყავით“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 1920. № 257).

ლეო შენგელია და ზოგადად სოციალისტ-რევოლუციონერები სკეპტიკურად უყურებდნენ ერთა ლიგას და არ სჯეროდათ მის შემადგენლობაში შემავალი დიდი სახელმწიფოების კეთილი ნების. მათი მოსაზრებით ეს იყო კაპიტალისტური ჩაგვრის კიდევ ერთი გამოვლინება, რომელიც ახალი მეთოდით ცდილობდა იმპერიალისტური მიზნების მიღწევას. „მასში უმთავრესათ წევრებათ შედიან გამარჯვებული სახელმწიფოები; არსებითად ეს ორგანიზაცია არის ახალ ფორმით მოვლინებული კაპიტალისტური ჩაგვრისა და მონობის ორგანიზაცია“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 1920. № 257).

ლეო შენგელიას სკეპტიკურ განცხადებას უპასუხა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა გიორგი გვაზავამ, რომელმაც განმარტა, რომ ლიგაში გაწევრიანება სასიკეთო იქნებოდა ქვეყნისთვის და საქართველოს ძალ-ღონე არ უნდა დაეშურა ყველა მოთხოვნის შესრულებისთვის, რადგან თუ არა ერთა ლიგა სხვა მსგავსი ორგანიზაცია იმდროს არ არსებობდა და ანუ ის იყო ერთადერთი გაერთიანება, სადაც საქართველო დაცული და აღიარებული იქნებოდა მსოფლიოს მიერ (საითიძე, 2010, გვ. 79).

გიორგი გვაზავას პასუხთან ერთად სოციალისტ-ფედერალისტების წარმომადგენლის გრიგოლ რცხილაძის სიტყვა მოჰყვა,რომელიც მართალია მომხრე იყო გაერთიანების, თუმცა გარკვეული კითხვები ჰქონდა ლიგის მუშაობასთან დაკავშირებით, რაც სავსებით ლეგიტიმური იყო. გრ. რცხილაძის კრიტიკული გამოსვლა ეხებოდა ლიგაში თანასწორობას,რომელსაც იპირებოდა გაერთიანება, თუმცა გრ. რცხილაძე ამას უსმევს ხაზს, რომ ეს შეუძლებელი იქნება საქართველოს და მაგალითად ინგლისს თანასწორი ხმა ჰქონოდათ, ძლიერ სახელმწიფოს მაინც მეტი გავლენა ექნება ლიგაში და შეძლებდა ინიციატივების თუ გადაწყვეტილებების გატანას. „ჩვენ ვცდილობთ, რომ გვიცნონ, როგორც სახელმწიფო - პარიზში, ლონდონში და ყველგან, სადაც კი ხელი მიგვიწვდება. ამიტომ, ჩვენ არ შეგვიძლიან

ზურგი შევაქციოთ იმ ორგანიზაციას, სადაც დიდი სახელმწიფოები არიან წარმოდგენილნი და, სადაც შეიძლება გადაწყვეტილ იქნას პრინციპული საკითი ჩვენი უფლებრივი ცნობის შესახებ სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ. ეს არის ქართული პოლიტიკის თვალსაზრისის ფხიზელი ინტერესი - რომ მიღებულ ვიყოთ ხალხთა ლიგაში... ჩვენ იქ ერთნაირი ხმა არ გვექნება, როგორც ზოგიერთ რომანტიკოსს ჰგონია. ჩვენ ნაციათა ლიგის წევრი ვიქნებით, მაგრამ სხვებთან ერთნაირი ხმა არ გვექნება“ (საითიძე, 2010, გვ. 80).

ლეო შენგელიას იმავე სხდომაზე უპასუხა აკაკი ჩხენკელმა, რომელმაც განმარტა, რომ ერთა ლიგაში შესვლა ქვეყანას მეტ სარგებელს მოუტანდა, რასაც აშკარად ეთანხმებოდა დამფუძნებელი კრების ყველა სხვა პარტია, გამომდნარე იქიდან, რომ მათ ყველამ უარყვეს სოციალისტ-რევოლუციონერთა ინიციატივა და მხარი დაუჭირეს ერთა ლიგაში გაწევრიანებისთვის მზადებას. „დამფუძნებელი კრება იწონებს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ხალხთა ლიგაში შესვლის შესახებ და ავალებს მთავრობას მომავალშიც განაგრძოს ამ მხრივ სათანადო მუშაობა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მიღებულ იქნეს სრულუფლებიან წევრათ ხალხთა ლიგაში“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 1920. № 257).

რთული არაა გაიგო სოციალისტ-რევოლუციონერთა შეხედულება თუკი მათი პოზიციიდან შეხედავ ამ გაერთიანებას, პარტიის ხედვა ეწინააღმდეგებოდა იმპერიალისტურ და კაპიტალისტურ სახელმწიფოებს და მათთან გაერთიანება იდეურად მიუღებელი იყო. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ასი წლის შემდეგ, ჩვენთვის ყველა ფაქტი ცნობილია ერთა ლიგის მუშაობისა და ქმედითუნარიანობის შესახებ, ხოლო მაშინ 1920 წელს, როცა ის იწყებდა მუშაობას გაუგებარი იყო მისი რეალური მიზანი, რადგან ეს იყო პირველი პრეცედენტი მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოების ერთ ორგანიზაციად გაერთიანების, რომელიც დეკლარირებულად მშვიდობას ისახავდა მიზნად. გაუგებარი იყო, როგორ უნდა დამყარებულიყო ეს საყოველთაო სიმშვიდე მსოფლიოში, რა ძალებით და რა ხერხებით. თუმცა ამგვარი ხედვის მხოლოდ ერთი პარტია იყო დამფუძნებელ კრებაში, ყველა დანარჩენი ერთა ლიგას განიხილავდა, საშულებად აღიარების გზაზე, (მხოლოდ აღიარებული სახელმწიფო ხდებოდა მისი წევრი), ცივილიზებულ სამყაროს ნაწილად გახდომის (განვითარებული სახელმწიფოებთან ერთად გაერთიანებაში ყოფნა გააუმჯობესებდა ურთიერთობებს), თავდაცვისუნარიანობის გაზრდის. (ლიგა პასუხისმგებლობას იღებდა დაეცვა მისი ყველა წევრი აგრესიისგან).

აღნიშნული დისკუსია მეტყველებს თუ რამდენად მრავალფეროვანი და არაერთგვაროვანი იყო დამფუძნებელი კრება თავისი მუშაობით, მიუხედავად აბსოლუტური უმრავლესობისა, რომელიც სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ჰქონდა, მცირე პარტიები მაინც ცდილობდნენ საკუთარი აზრის გაცხადებას და გატანას, რაც მეტყველებს იმ შესაძლებლობაზე და დემოკრატკიის იმ სტანდარტზე, რომელიც არსებობდა. მართალია სოცია-

ლისტ-რევოლუციონერთა კონკრეტულ ინიციატივას (ერთა ლიგაში არ გაწევრიანება) შედეგი არ მოჰყოლია, რადგან ყველა პარტია, გარდა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიისა, კენჭისყრის დროს ხმა ერთა ლიგის სასარგებლოდ დააფიქსირა, ეს მაინც საინტერესო ფაქტად რჩება.

დემოკრატიის სტანდარტის შეფასებისთვის, აქვე ისიც აღსანიშნია, რომ სოცილიასტ-რევოლუციონერთა წარმომადგენელი მოითხოვდა ლიგაში გაწევრიანებისთვის რეფერენდუმის ჩატარებას, რათა ხალხს მიეღო გადაწყვეტილება სურდა თუ არა გაწევრიანება, რადგან ხვდებოდნენ, რომ დამფუძნებელ კრებაში მხარდამჭერები არ ჰყავდათ და სავარაუდოდ იმედოვნებდნენ რეფერენდუმით საზოგადოების აყოლიებას ლიგის წინააღმდეგ, ან უბრალოდ დროის გაწელვის მიზნით ითხოვდნენ რეფერენდუმს. თუმცა მიუხედავად მცდელობის ეს ინიციატივა უარყოფილ იქნა უმრავლესობით.

ამ გადაწყვეტილებით, რომელიც ხმათა უმრავლესობით იქნა დამფუძნებელ კრებაზე მიღებული, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ევ. გეგეჭკორმა მიიღო მოქმედების თავისუფლება წარემართა მოლაპარაკება ერთა ლიგაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ ქართველი დიპლომატების მუშაობამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და 1920 წლის 16 დეკემბერს განხილული საკითხი, მიეღოთ თუ არა საქართველო ერთა ლიგის წევრებს შორის უარყოფითად გადაწყდა. ხმის მიცემაში 24 ქვეყანა იღებდა მონაწილეობას და 16 მათგანის თანხმობა იქნებოდა საკმარისი დადებითი გადაწყვეტილებისთვის, თუმცა პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ასპექტების გამო საქართველოს გაწევრიანებას მხოლოდ 10 ქვეყანამ დაუჭირა მხარი, რამაც საქართველო ერთა ლიგისა და მსოფლიო სახელმწიფოებს მიღა დატოვა.

საქართველოს ერთა ლიგის წევრად არ მიღება განაპირობა იმდროინდელი დიდი სახელმწიფოების შეთანხმება-გადაწყვეტილებამ დაეტოვებინათ კავკასია, მისი ბედი კი საბჭოთა რუსეთისთვის მიენდო. დიდი ბრიტანეთი, რომელიც კავკასიაში (ბათუმში) 1920 წლის ივლისამდე რჩებოდა უარი თქვა ამ რეგიონის დაცვაზე, რადგან კავკასიამ დაკარგა მისთვის ღირებულება, მას შემდეგ, რაც ბაქო საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს და ნავთობი საბჭოთა რუსეთის ხელში გადავიდა. საქართველო მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილის მქონე ქვეყანა იყო, თუმცა მისი მნიშვნელობა დიდი იყო იმდენად, რამდენადაც მას შეეძლო ნავთობის (ბაქოს) გატარება თავის ტერიტორიაზე, რახან 1920 წლის აპრილის თვიდან აზებაიჯანი საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო ნავთობის მოწოდებაც საქართველოს გზით შეწყდა, რამაც ბრიტანეთისთვის უმნიშვნელო აქცია ჩვენი ქვეყანა.

ინგლისი, რომელიც მძლავრი იმპერია იყო და ერთა ლიგაში მისი ყოფილი კოლონიები, ახლა უკვე დომინიონები ლიგის წევრებად იყვნენ წარმოდგენილები, ბრიტანეთის ყველა გადაწყვეტილების უპირობო მომხრენი იყვნენ, რამაც ერთა ლიგაში საქართველოს არ გაწევრიანებაში დიდი როლი ითამაშა.

დამფუძნებელი კრება პირველი რესპუბლიკის პერიოდში ძალზედ

ძლიერი ინსტიტუტი იყო, რადგან დაკომპლექტებული იყო იმდროინდელი ქართველი მოაზროვნეებით და მათი, თითოეულის პოზიცია იყო მკაფიო და კონკრეტულ არგუმენტებზე აგებული, რასაც შეეძლო უმცირესობის წამოყენებული მოსაზრება გაეხადა უმრავლესობის მხარდაჭერილ ინიციატივად. კრება წარმატებით ართმევდა თავს ქვეყნისთვის სასიკეთო და სწორი გადაწყვეტილებების მიღებას, რაც კარგად გამოიკვეთა ამ კონკრეტული მოვლენის განხილვისას. ერთა ლიგაში გაწევრიანების სურვილი და მასზე მუშაობა წარიმართა არა მმართველი პარტიის დიქტატის გზით, არამედ ცოცხალი კამათის შედეგად, როდესაც გამოიკვეთა მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა მხარეები და კენჭისყრის შედეგად გადაწყდა მოქმედების გეგმა.

სწორედ ესეთი დღეები და ეს გადაწყვეტილებები იყო დამფუძნებელი კრების წარმატებული მუშაობის საფუძველი, როდესაც ყველა გადაწყვეტილება აქტიური განხილვის საფუძველზე მიიღებოდა, რაც ქმნიდა დემოკრატიულ გარემოს, რომლის მიღწევასაც ასე დაუცხრომლად ცდილობდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურები.

სტატია მსურს დავასრულო ევგენი გეგეჭკორის ინტერვიუთი, რომელიც მან ფრანგულ გაზეთს „ტანი“-ს მისცა ერთა ლიგაში გაწევრიანების თაობაზე, სადაც ჩანს ის მედგარი და მყარი პოზიცია, რომელიც ჰქონდა საქართველოს 1920 წელს მისი უფლებებისა და შესაძლებლობების მხრივ. ჩანს მძლავრი ენერგია და თავდაჯერილობა იმისა, რომ საქართველოს, როგორც ახალ რესპუბლიკას, თუმცა დიდი ისტორიის მქონე სახელმსიფოს ჰქონდა ყველა უფლება და შესაძლებლობა ყოფილიყო სრულფასოვანი წევრი ერთა ლიგისა და ცივილიზებული სამყაროსი. „მართალია, არსებობენ ერთა ლიგაში საქართველოს მიღების მოწინააღმდეგენი, მაგრამ საქართველოს ერთა ლიგაში მიუღებლობა ნიშნავს ხალხის თავისუფალ თვითგამორკვევის პრინციპის უარყოფას. მე არამსურს მოვიყვანო ის მოტივი, რომ საქართველოს ცნობა საჭიროა ევროპის სახელმწიფოებისათვის. საქართველო უნდა ჩაირიცხოს ერთა ლიგაში არა პოლიტიკური ანგარიშების მიხედვით, საქართველოსათვის ეს არის უფლების საკითხი. ჩვენი უფლებაა დავიკავოთ ჩვენი ადგილი ყველა კულტურულ ხალხის კავშირში, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს ცივილიზაციისა და მშვიდობიანობის დაცვა და ამ უფლებამ არავითარი ეჭვი არ უნდა გამოიწვიოს“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 1920. № 293).

ამგვარი ოპტიმიზმი განპირობებული იყო 1920 წლის 16 დეკემბრის კენჭისყრის შემდეგ. საქართველოს წარმომადგენლებს ეცნობათ, რომ საკითხი კვლავ იქნებოდა დღის წესრიგში 1921 წლის სექტემბერში, რა დროსაც შესაძლებელი იყო მოვლენები რადიკალურად სხვა შედეგით დასრულებულიყო, თუმცა 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოიჭრა და იარაღის ძალით გაასაბჭოეს საქართველო, არჩეული მთავრობა და დამფუძნებელი კრების წევრები ან ემიგრაციაში წავიდნენ და ქვეყანაში ვეღარ დაბრუნდნენ ან საბჭოთა ხელისუფლებამ ფიზიკურად გაანადგურა,

ამ მოვლენებმა ეს პერსპექტივა სამუდამოდ მოსპო. საქართველო ერთა ლიგის, ანუ ცივილიზებული, დემოკრატიული გარემოს ნაცვლად აღმოჩნდა ძალისმიერი გზით გაერთიანებული საბჭოთა რუსეთის, შემდგომ, 1922 წელს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, რომელიც ტოტალიტაული მმართველობისა და სრული იზოლაციის სამყარო აღმოჩნდა. საქართველო 70 წლის მანძილზე მოწყდა დემოკრატიულ ქვეყნებთან ურთიერთობას და მის ამ კუთხით განვითარებას.

დასკვნა

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისი ხანმოკლე არსებობის მანძილზე ძალ-ღონე არ დაიშურა მსოფლიო სახელმწიფოთა შორის ადგილის დასაკავებლად, ბრძოლა ორი წლის მანძილზე წარმოებდა აღიარებისთვის, ცივილიზებული სამყაროს წევრობისთვის და უსაფრთხოებისთვის, რომელიც ქართველ პოლიტიკოსებს ერთა ლიგაში გაწევრიანებით ესახებოდათ. ზემოთ მოყვანილ ნაშრომში სწორედ ერთა ლიგაში გაწევრიანების საკითხზე დამფუძნებელ კრებაში მსჯელობის ეპიზოდებია მოყვანილი, განხილვა იმის თაობაზე ღირდა თუ არა ამ ორგანიზაციაში გაწევრიანება და რისი მომტანი იქნებოდა ის საქართველოსთვის.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

gazeti *“sakartvelos respublika”*. (1920). № 257. tbilisi. (გაზეთი “*საქართველოს რესპუბლიკა”*. (1920). № 257. თბილისი).

gazeti *“sakartvelos respublika”*. (1920). № 293. Tbilisi. (გაზეთი: *“საქართველოს რესპუბლიკა”*. (1920). № 293. თბილისი).

saitidze, g. (2010). *pirveli universaluri saertashoriso organizacia-erta liga da damoukidebeli sakartvelo* (1919-1921). tbilisi. (საითიძე. (2010). *პირველი უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია-ერთა ლიგა და დამოუკიდებელი საქართველო (1919-1921).* თბილისი.).

https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_17120.htm?selectedLocale=ka. 18/11/2021